
᙭ სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 20 (252) გამოცემის მე-14 წელი ● 1970 წლის 23 ოქტომბერი

სივრცესა და გარემოს შესისხლხორცებული ეს ქანდაკება, რომელსაც ცნობილმა მოქანდაკემ გოგი ოჩიაურმა „ზღვა“ უწოდა, ბიჭვინთის პლაჟის მშვენებაა. უყურებ მას და ძალაუნებურად მზით გამთბარ ტალღებთან შეყრის სურვილი გიპყრობს...

მობრძანდით, არც ახლაა გვიან, შავ ზღვას შემოდგომაზეც ბევრი სტუმარი ჰყავს.



ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

იტალიის კულტურის კვირეული

ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩვენს ქვეყანაში გაიმართა იტალიის კულტურის კვირეული, რომლის ორგანიზატორები იყვნენ „სსრ კავშირ-იტალიის“ საზოგადოება, ამ საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილება და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება. კულტურის დღეები დაიწყო მოსკოვში, 15 ოქტომბერს კი ჩვენს დედაქალაქში გადმოინაცვლა.

ეს იყო სიცილიის დედაქალაქ პალერმოში წლეულს გამართული ქართული კულტურის დღეების საპასუხო კვირეული.

ზეიმში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა იტალიის კულტურის წარმომადგენელთა დელეგაცია იტალიის მწერალთა სინდიკატის ვიცე-პრეზიდენტის, სენატორ ფრანკო ანტონიჩელის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიოდნენ იტალიის სენატის განათლებისა და სახვითი ხელოვნების კომისიის წევრი, სენატორი რიკარდო რომანო, ქალაქ პალერმოს სახვითი ხელოვნების ეროვნული მუზეუმის დირექტორი ვინჩენცო ტუზა და სხვები.

კვირეულის დღეებში ჩვენი სტუმრები ეწვივნენ კინოთეატრ „ამირანს,“ სადაც მიმდინარეობდა იტალიური კინოფილმების ფესტივალი, იყვნენ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ხელოვნების მუზეუმში, შამპანური ღვინოების ქარხანაში, ჩაის საწონ ფაბრიკაში, უცხო ენათა ინსტიტუტში, ნახეს ქართული მეტალურგიის ცენტრი — რუსთავი.


ჩვეული გულუხვი მასპინძლობა გაუწიეს სტუმრებს კახეთში. იტალიელები იყვნენ სიღნაღის რაიონში, იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის სამშობლოში, რომელმაც თავი შესწირა ფაშისტური უღლიდან იტალიის განთავისუფლებას. — ეს ახალგაზრდა თანაბრად გვეკუთვნის ჩვენცა და თქვენც. მის სამშობლოში ჩამოსვლა განსაკუთრებით გვეამაყებაო, განაცხადეს სტუმრებმა.

სტუმრებს ოფიციალური მიღება გაუმართეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვიქტორია სირაძემ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შოთა ბუხრაშვილმა.

საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ დელეგაციის ხელმძღვანელმა ფრანკო ანტონიჩელიმ განაცხადა:

— ყველაფერი, რაც საქართველოში ვნახეთ — ეროვნული კულტურის უშესანიშნავესი ძეგლები, ხელოვნების უბრწყინვალესი ქმნილებანი — შეუდარებელია. აღგვაფრთოვანა თქვენი ხალხის შემოქმედებითმა სულმა, იმ დიდმა ენთუზიაზმმა, რომლითაც თქვენ აშენებთ. მჯერა, რომ „სსრ კავშირ-იტალიის“ საზოგადოება კიდევ ბევრს გააკეთებს ჩვენი ხალხების დასამეგობრებლად.

იტალიელი მეგობრები თბილისიდან 20 ოქტომბერს გაემგზავრნენ.



ქართული ფილმების საჭედლოში

ორიოდე წლის წინათ ჩვენმა საზოგადოებრიობამ ერთ-ერთი ჯინემატოგრაფიის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე აზეიმა.

ქართული ფილმის მოღვაწეთა დიდ ფორუმს ესწრებოდა ერთი დარბაისელი, 85 წელს მიღწეული, მაგრამ მხნე და ახოვანი მოხუცი — ვასილ ამაშუკელი.

ამ ადამიანმა 1912 წელს გადაიღო პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი — „აჯაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

მაშინ დიდმა აჯაკიმ აღნიშნა: საფუძველი ჩაეყარა კარგ საქმეს და გადაღებული ფილმი საინტერესო იყო არა პოეტის მოგზაურობით, არამედ საქართველოს პეიზაჟებითო.

ქართული ფილმის დღესასწაულზე ვასილ ამაშუკელმა თქვა: მაშინ თვითონ ვიყავი რეჟისორიც, ასისტენტიც და გამნათებელიცო. რაჭა-ლეჩხუმის მთებში იგი თურმე ზურგით დაათრევდა „გამონის აპარატს“ და ამას დიდი ხალისით აკეთებდა.

მერე სინანულით გაიხსენა, რა გამწარებით დაეძებდა ფირს, რომ გადაეღო სულმნათი ჯაცის — დიდი ილიას დაკრძალვა, მაგრამ ამაოდ დაშვრა...

როდესაც ქართული ფილმის დღევანდელ წარმატებებზე ილაპარაკა, გული სიხარულით აუცყო და გულწრფელად თქვა: ამდენს კი ნამდვილად არ ველოდიო.

წარსული ნახევარი საუკუნე შემოქმედებით ცეცხლში ჩაიფერფლა და ზედიზედ გამოიჭედა მარად დასახსომებელი საუკეთესო ქართული ფილმები.

კინოს ერთ-ერთმა ენთუზიასტმა რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ საკუთარი სახსრებით გადაიღო პირველი ქართული მხატვრული ფილმი „ქრისტინე“.

ოცდაათიანი წლების დამდეგს შეიქმნა კინოსტუდია „საქართველოს სახკინმრეწვი“ და იგი სულ მალე გაიცნეს საბჭოთა კავშირსა თუ უცხოეთში.

ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ამ სტუდიაში 1923 წელს შექმნილი ივანე პერესტიანის ფილმი „წითელი ეშმაკუნები“, რომელმაც ახალ ჟანრობრივ ფორმას დაუდო სათავე საბჭოთა კინოხელოვნებაში.

1926 წელს შედგა ნიჭიერი ქართველი რეჟისორის ნიკოლოზ შენგელაიას დებიუტი. ამ წელიწადს რეჟისორ ლეო პუშთან ერთად მან გადაიღო მხატვრული ფილმი „გიული“. 1928 წელს გადაღებულმა მისმა მხატვრულმა სურათმა „ელისომ“ მსოფლიოს ეკრანები მოიარა.

სახელგანთქმულმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა ქართველ კინომსახიობთა სკოლა შექმნა და დიდი ღვაწლი დასდო ქართულ კინოხელოვნებას. ამავე წლებში ჩვენი კინოს ერთ-ერთ უსაყვარლეს ჟანრად ჩამოყალიბდა კინოკომედია. სიკო ფალავანდიშვილის „ქეკჩუნას მზითევი“, გიორგი მაკაროვის „ნახვამდის“, დავით რონდელის „დაჯარგული სამოთხე“. ლეო ესაკიას „მფრინავი მღებავი“ — ქართული კინემატოგრაფიის მარგალიტებად ითვლება. სწორედ ამ ჟანრში გამოიჩინეს თავი დიდმა მსახიობებმა ალექსანდრე ჯორჯოლიანმა და აკაკი ქვანტალიანმა, ცეცილია წუწუნავამ და შალვა ღამბაშიძემ...

40-იანი წლების საუკეთესო ფილმად აღიარებულია მიხეილ ჭიაურელის „არსენა“. რომელშიაც ქართული კინოს ვარსკვლავებმა ნატო ვარჩავაძემ და სპარტაკ ბაღაშვილმა დაუვიწყარი სახეები შექმნეს.

წლები გადიოდა...

ქართული კინემატოგრაფია სიახლის ჟინით ცხოვრობდა და ნიადაგ სადღეისო თემებზე ფიქრობდა.

დიდი სამამულო ომის დროს მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო „გიორგი საკაძე“. ეს ფილმი აღფრთოვანებდა, სულიერ სიმტკიცეს მატებდა სამშობლოს დამცველ ჯარისკაცებს.

ჩვენი კინემატოგრაფიის ისტორია მდიდარია სასიხარულო მოვლენებით, რაც ესოდენ კარგად გამოვლინდა ომისშემდგომ წლებში.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მარკით გამოვიდა ფილმები: „მაგდანას ლურჯა“, „ორი ოკეანის საიდუმლოება“, „ჩვენი ეზო“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ველასის ნამობი“, „სხვისი შვილები“, „შეწყვეტილი სიმღერა“, „გაბძი“, „ქორწილი“, „ფატიმა“, „საბუდარელი ჩაბუკი“, „თეთრი ქარავანი“, „ჯარისკაცის მამა“, „ჩოლგა“, „გიორგობისთვე“, „ვედრება“, „არ დაიდარდო“, „ფიროსმანი“... ამ ფილმების უმრავლესობამ შემოიარა მსოფლიო ეკრანები, მრავალ ფესტივალზე დაიმსახურა პრიზები.

მერე ქართული „ფილმების სამჭედლო“ მოძველდა. დიდი და ბევრი ტილო აღარ დაეტია კინოსტუდიის „ქურაში“, რომლის ფართობი 3,5 ჰექტარი იყო მხოლოდ.

ხელმძღვანელებმა დროზე იფიქრეს ამაზე. დიღომში ერთი მინდორი შემოღობეს, შიგ 25 ჰექტარი ფართობი მოაჩიეს და ააშენეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი კორპუსები.

კინოსტუდიას ახლა აქვს შემოქმედებითი კორპუსი, ორპავილიონიანი ბლოკი, დიდი პავილიონი, ხმის ჩამწერი სტუდია. აქვეა სამონტაჟო, მექანიკური, გამნათებელი ტექნიკის საამქროები და მძლავრი დეკორატიულ-ტექნიკური ნაგებობათა საამქრო.

მაგრამ ჯერ გასაკეთებელიც ბევრია.

პირველ რიგში აშენდება ფირის დამმუშავებელი საამქრო, მერე კი უზარმაზარი პავილიონი, სადაც ყოველგვარი გადაღებისათვის იდეალური პირობები შეიქმნება.

სტუდიას დაამშვენებს 20-სართულიანი ადმინისტრაციული სახლი. მის გვერდით მოთავსდება ნახატი და თოჯინების ფილმების სტუდია. ოდნავ მოშორებით — კომბინირებულ გადაღებათა და გადამღები ტექნიკის საამქროები.

ეზოს შუაგულში წამოიმართება ახალი ფილმების საჩვენებელი დარბაზი. სიღრმეში კი ორი გარაჟი აიგება სპეციალური და საერთო დანიშნულების მანქანებისათვის.

დიდი ფართობი დაეთმობა ნატურალურ გადაღებას.

როდესაც კინოსტუდიის მეორე რიგის მშენებლობაც დამთავრდება, „ქართული ფილმი“ წელიწადში 3 ფართოსა და 7 ჩვეულებრივფორმატიან მხატვრულ ფილმს გამოუშვებს. ამათგან უმეტესი ფერადი იქნება. სტუდიაში გადაიღებენ აგრეთვე 15 ტელეფილმს, ათეულობით სამეცნიერო-დოკუმენტურ, მოკლემეტრაჟიან და თოჯინებისა თუ ნახატ ფილმს.

წელიწადის განმავლობაში კინოსტუდია შეძლებს 60-მდე ფილმის გადმოქართულებას.

წლეულს კი საქართველოს კინოსტუდია 12 მხატვრული სურათის გადაღებას დაამთავრებს. ახალ ფილმებზე მუშაობენ რეჟისორები შოთა და ნოდარ მანაგაძეები, თამაზ მელიავა, გიორგი კალატოზიშვილი, თენგიზ აბულაძე...

რეჟისორი სიკო დოლიძე იღებს ფილმს „სემირამიდას ბაღები“. ეს ფილმი კიდევ ერთხელ გაგვახსენებს მრისხანე სამამულო ომს. აქ ლაპარაკი იქნება გამარჯვების მთავარ ძალაზე — ხალხთა მეგობრობაზე.

„წყალდიდობა“ — ასე ეწოდება ფილმს, რომელსაც რეჟისორი თენგიზ გოშაძე იღებს არჩილ სულაკაურის სცენარის მიხედვით. ფილმი მოგვითხრობს იმ ახალი ცხოვრების შესახებ, რომელმაც 20-იან წლებში შემოაბიჯა საქართველოში.

ნიჭიერი ადამიანი, რომელმაც თავისი ადგილი ვერ მოძებნა ცხოვრებაში — ასეთია დედაბერი ოთარ იოსელიანის ახალი ფილმისა „დღითიდღე“. ამ ფილმში პროფესიული მსახიობები არ თამაშობენ. მოყვარულებმა ერთხელ უკვე გაუმართლეს იმედი ოთარ იოსელიანს. უნდა ვიფიქროთ, რომ რეჟისორი არც ამჯერად შეცდება.

დავით რონდელი იღებს ფილმს „ზოია რუხაძე“. სცენარის ავტორები არიან დრამატურგი რევაზ ებრალიძე და ყირიმის პარტიზანული მოძრაობის შტაბის უფროსი გიორგი სევერსკი.

ოთარ აბესაძის ფილმში „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი“ — ერთი პატარა ქალაქის ცხოვრება იქნება ასახული. ფილმი ახალგაზრდებს ეძღვნება. სცენარის ავტორია ოტია იოსელიანი.

ქართული ფილმების სამჭედლოზე დაუსრულებლივ შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ ერთი აუცილებელი უნდა ითქვას: „ქართულ ფილმში“ კინემატოგრაფისტთა სამი თაობა მოღვაწეობს.

ეს პროფესია თითქოს მემკვიდრეობითი გახდა. ნიკოლოზ შენგელაია მისმა ვაჟებმა ელდარმა და გიორგიმ შეცვალეს. მიხეილ ჭიაურელის ქალიშვილმა სოფიკომ რამდენიმე საინტერესო სახე შექმნა მიხეილ ჭიაურელის, შოთა მანაგაძისა და რეზო ჩხეიძის ფილმებში. ოპერატორი გიორგი კალატოზიშვილი, რეჟისორები ლანა ღოღობერიძე, ნოდარ მანაგაძე... ყველანი ეროვნული კინოს მამამთავართა შვილები არიან.

და ყველა, „ქართული ფილმის“ მოღვაწეთა სამივე თაობა, დროის შესაფერისის მასალას ეძებს ცხოვრებაში. ეძებს ყველგან, სადაც კი შეიძლება ნახოს მართალი, რთული, შინაარსიანი, ჩვენი თანამედროვეებისათვის საინტერესო გმირი.

მერე ამ გმირებს ეკრანზე აცოცხლებენ.

და გაზაფხულს მარადიული შემოქმედებითი ცეცხლი ქართული ფილმების სამჭედლოში.

ჯემალ ჟურხული

ქორსერვატორიის სიახლენი, ჰირაპლი გეგმები...

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორი სულხან ცინცაძე რამდენიმე ბალეტის („ცისფერი მთის საუნჯე“, „დემონი“, „პოემა“), სიმებიანი კვარტეტის, სიმფონიის, ორატორიის, ბევრი საკრავიერი თუ ვოკალური ნაწარმოების ავტორია. მისი ქმნილებანი დიდი წარმატებით სრულდება ჩვენშიც და უცხოეთშიც. ბევრი ქართული ფილმიც თავის წარმატებას სულხან ცინცაძის საუცხოო მუსიკას უნდა უმადლოდეს.

წლევანდელი წელიწადი მნიშვნელოვანია კომპოზიტორის ცხოვრებაში. მისი მე-6 სიმებიანი კვარტეტი წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე.

„სამშობლოს“ კორესპონდენტი ეწვია სულხან ცინცაძეს და სთხოვა ეამბნა კონსერვატორიის სიახლეებზე, ახალ სასწავლო წელსა და პირად გეგმებზე.



— წლეულს კონსერვატორიაში 200-მდე ახალგაზრდა მივიღეთ საშემსრულებლო და თეორიულ ფაკულტეტებზე. აბიტურიენტთა შორის ოთხი ახალგაზრდა უკვე საერთაშორისო თუ საკავშირო კონკურსების ლაურეატი იყო. ვფიქრობ, ეს ფაქტი შესანიშნავად მეუთითებს წლევანდელ მოსავლიანობაზე.

ცნობილია ის დიდი მუსიკალური ტრადიციები, რომლითაც გამოირჩევა ჩვენი კუთაისი. სწორედ ამან განაპირობა შარშან იქ ოპერის თეატრის ფილიალის გახსნა, წლეულს კი კონსერვატორიის ფილიალის შექმნა, რომელსაც აქვს ვოკალური და საორკესტრო საკრავების განყოფილებები. ფილიალი უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით.

მომავალში ნავარაუდევია ასეთივე ფილიალების გახსნა რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებშიც.

კონსერვატორია ამჟამად ემზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის. გამოცხადდა კონკურსი, რომლის ძირითადი მიზანია ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პროპაგანდა. საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტები გამართავენ კონცერტებს. ჩვენი სიმფონიური ორკესტრი საიუბილეო დღეებში ეწევიან რესპუბლიკის საწარმოებს.

გაისად აღინიშნება ზაქარია ფალიაშვილის იუბილე. კონსერვატორიის სტუდენტთა ძალებით მოვამზადებთ „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისის თითო მოქმედებას, გაკეთდება „ლატავრას“ ერთმოქმედებიანი მონტაჟი.

ჩვენთან ბევრი სახელმოხვეჭილი სტუდენტი სწავლობს. მათ შორის რამდენიმე მრავალგზის ლაურეატია. ალბათ, წლეულს მათ სხვებიც შეემატებიან — უკანასკნელ პერიოდში, როგორც წესი, ჩვენი წარგზავნილები ყაერთაშორისო თუ საკავშირო კონკურსებიდან გამარჯვებულნი ბრუნდებიან.

ჩვენს კონსერვატორიას მეგობრული ურთიერთობა აქვს სხვა რესპუბლიკებისა და ქვეყნების მუსიკალურ სასწავლებლებთან. მომავალში ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდება. შემოქმედებით კავშირს დავამყარებთ კაიროს კონსერვატორიასთან, სადაც რექტორია ჩვენი თანამემამულე, თბილისის კონსერვატორიის ყოფილი პრორექტორი ირაკლი ბერიძე.

რაც შეეხება წმინდა სამეურნეო საკითხებს — კონსერვატორიას დაემატა 30 დიდი, ნათელი ოთახი, რაც სავსებით საკმარისია ნორმალური მუშაობისათვის.

გვახსენებთ პირად გეგმებზეც. ახლახან დავამთავრე მე-7 სიმებიანი კვარტეტი. ჩვენს თანამემამულე ალექსი ჭიჭინაძესთან ერთად, რომელიც ოთხი წელიწადია ვარშავის დიდი თეატრის მთავარი ბალეტმაისტერია, შევიმუშავეთ ლიბრეტო და უახლოეს დროში დავიწყებთ მუშაობას. ეს იქნება ბალეტი „ხვიბერი გოჩა“. იგი დავგვიკვეთა მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურმა თეატრმა. ვფიქრობ, უახლოეს ხანში დავუბრუნდე ჩემ საყვარელ ჟანრს — კინოს...





სურათებზე: ზევით — კადრი ფილმიდან „დიდოსტატის მარჯვენა“. ლალი გაფრაშვილი შორენას როლში; ქვევით — „წყალდიდობის“ გადამღები ჯგუფი.



„მღელვარებაი, მდუღარებაი სულისა“...

ასე უწოდა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შალვა ამირანაშვილმა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ნათელა იანქოშვილის შემოქმედებას. მართლაც, ნამდვილად პოეტური მღელვარება და მდუღარება სულისა იგრძნობა ამ მეტად ორიგინალური მხატვრის ნაწარმოებებში, რომელთა გამოფენა თითქმის მთელი თვეა მნახველთა ყურადღებას იპყრობს სურათების სახელმწიფო გალერეაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოფენა თვალთა და ფერთა მეჯლისია, მოხასხასე ფერთა ზეიმი და გალობაა. ყოველი სურათი გარკვეული განწყობილებით არის შექმნილი. ჩვენს წინაშეა საინტერესო მხატვარი, რომელსაც აქვს თავისებური სახე, საკუთარი ხელწერა და სტილი. უყურებთ ამ სურათებს და გიკვირთ, ასეთ პატარა, ნაზსა და სათნო ქალს როგორ ეყო ძალა და ენერგია ასე მრავალი ტილოს შესაქმნელად.

იანქოშვილისათვის დამახასიათებელია პატარა, სხარტი ფსიქოლოგიური ზოლები, ფერთა განსაცვიფრებელი უღერადობა, წითლისა და შავის, ხავერდოვანი მწვანისა და მზით გამთბარი ყვითელი ფერის ალერსიანი თამაში. ძირითადი პალიტრა მაინც მწვანეა. მის ტილოებზე მწვანე ყველა რეგისტრშია მდელოებისა თუ ტყეების სურნელებასთან შერწყმული.

ზოგიერთი პორტრეტის მწვანე, თანაც ზურმუხტივით გამჭვირვალე ფონი ისე ჰარმონიულად ეხამება სახის სრულიად საწინააღმდეგო, მოყვითლო-მოვარდისფრო გამას, რომ სანამ თვალით არ იხილავ, დაუჯერებლად მოგეჩვენება ასეთი შეხამების შესაძლებლობა.

საყურადღებოა ისიც, რომ ფიროსმანისეული ხალხურობა, პირდაპირობა, გაბედულება ორიგინალურად არის შერწყმული ავტორის პროფესიონალიზმთან.

შემოქმედი გატაცებით ხატავს დღევანდელი საქართველოს წარმომადგენლებს — გურულ კოლმეურნეებს, ტყიბულელ მეშახტეებს, პირჭუში მთების წიაღში შობილ სვანებს და თბილისელ სტუდენტ გოგონებს, ჩვენი კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებსა და უბრალო, რიგით ადამიანებს.

პორტრეტებთან ერთად გამოფენაზე უხვად არის წარმოდგენილი პეიზაჟი და გრაფიკა. უკანასკნელ წლებში მხატვარი ამრავალფეროვნებს თავის თემატიკას და ქმნის ქართული პეიზაჟების ციკლებს: ქართლი, კახეთი, თუშეთი, ხევსურეთი, სადაც განსაკუთრებული ადგილი ისტორიულ ძეგლებს უჭირავს. იანქოშვილის პეიზაჟებში ცა და დედამიწა გაერთიანებულია ერთ მოძრაობაში. აქ ვერ ნახავთ ლაჟვარდოვან, მშვიდ ცას, იგი ღრუბლებით არის დასერილი, ღრუბლები კი არ ნანაობენ ცაზე, არამედ თავიანთ აჩქარებულ სრბოლაში სოფელ ომალოს თავზე გადახლართულან და მიილტვიან შეუცნობელი მიზნისაკენ, სადღაც შორს, ტილოს მიღმა.

თავისი სიდიადით ყურადღებას იპყრობს მცხეთის „ჯვარი“. თვითონ ძეგლს მეტად პატარა ადგილი უჭირავს, მაგრამ ყოველივე მის ირგვლივ მხოლოდ მის სადიდებლად წარმოთქმული ქორალივით გაისმის.


თავისებურია ნათელა იანქოშვილის მრავალრიცხოვანი გრაფიკული ნამუშევარი, მხატვრულად გაფორმებული წიგნი თუ წიგნის სუპერი. მისი გრაფიკა ორკესტრირებულია ციკლური თემებით: სვანეთი, ფშავი, კუბა, მექსიკა, ჰოლანდია. იანქოშვილის გრაფიკა მეტად მხატვრულია, გამოირჩევა განსაცვიფრებელი, მუსიკალური ხაზებით, ტექნიკის სიახლითა და პროპორციულობით შესანიშნავია მისი მექსიკელი ქალების სერია. საინტერესოა ქართველი მხატვარი ქალის თვალით დანახული კუბა, მექსიკა, ჰოლანდია.

ფოვეებ საგამოფენო დარბაზს და თან მოგეგება ადამიანისადმი პატივისცემითა და სიყვარულით აღსავსე სული მხატვრისა. მის მიერ შექმნილი სამყარო ფერთა მშვენიერი გამაა, რომელშიც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია ადამიანი, მისი სულიერი სამყარო და ნამდვილი სახე.

ნადია მეგაღიშვილი







სურათებზე: ნათელა იანქოშვილის ნამუშევრები. მარცხნიდან — ნინო ჭავჭავაძე, ლილი ქაღლით, მზია იაშვილი-მესხი, ქვემო ნეკრესი.

თეატრის იუბილე

ამ დღეებში არსებობის 75 წლისთავი იდღესასწაულა მაღაროელთა ქალაქის — ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრმა.

შემოქმედებითად ძალზე საინტერესო და მდიდარია ამ თეატრის წარსული, აწმყო, ბევრ იმედს იძლევა მისი მომავალი. აქ გაისომოდა ქართული სცენის დიდოსტატების — ლადო მესხიშვილის, ალექსანდრე იმედაშვილის, ვალერიან გუნიას, გიორგი არადელ-იშხნელის ჯავარიანი სიტყვა. აქ იღვწოდნენ და სასცენო ხელოვნების განვითარება-სრულყოფას ემსახურებოდნენ ცნობილი თეატრალური მოღვაწეები პავლე ფრანგიშვილი და ნიკო გოძიაშვილი. მათ ამაგსა და შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია — ჭიათურის თეატრი დღეს ერთ-ერთი მოწინავე მხატვრული ძალაა ჩვენს რესპუბლიკაში.

ჭიათურის თეატრის საიუბილეო დღესასწაული მთელი ქართული კულტურის ზეიმად იქცა. რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ეწვივნენ ჭიათურას სტუმრები — ხელოვნების მსახურნი და მოტრფიალენი, ოფიციალური პირები. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭათ თეატრის მთავარ რეჟისორს ოთარ ალექსიშვილსა და მსახიობ ვალენტინა სვანელს, 7 მსახიობს მიენიჭა დამსახურებული არტისტის წოდება. ბევრმა დაიმსახურა აგრეთვე სხვა საპატიო წოდებანი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები.

გაზეთი „სამშობლო“ თავის მხრივ მიესალმება თეატრის შესანიშნავ კოლექტივს და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

ცნობილმა გულგახელმა მწერალმა ვასილ ცონევმა ახლახან იმოგზაურა საბჭოთა კავშირში. იგი იყო მოსკოვში, საქართველოსა და უკრაინაში. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი აისახა მის ნარკვევებში. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს, რომელიც საქართველოს ეხება. იგი გამოაქვეყნა გაზეთმა „ნედელიამ“.

საქართველო

საქართველოში იმიტომ კი არ ჩამოვედი, რომ ენციკლოპედიური ცნობარი შემევსო. ჩამოვედი, რათა საკუთარი თვალით მეხილა ის, რაც აიძულებს ყველას, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა აქ, ხელები აღტაცებით გაშალოს:

— საქართველო? ო! აი ეს მესმის!

მაგრამ რა არის ეს „აი ეს მესმის“, — ვერავინ ამიხსნა!

— წაბრძანდი და თვითონ ნახე!

და მეც წავედი. და ვნახე. და ხელები გავშალე.

ჩვენი ხალხი ქართველებზე ნაკლებ შრომისმოყვარე როდია. ჩვენც გვიყვარს ვაზი, მზედ რომ გვიდგება ძარღვებში. ჩვენი ხალხი ძალზე სერიოზულია მუშაობისას. სამაგიეროდ, როცა სუფრას მივუსხდებით, თავაწყვიტილ სიხარულსა და მხიარულებას ვეძლევით. მხიარულება ხმაურიანი ვიცით — მუსიკით, სიმღერითა და ხალხური ცეკვებით შეზავებული. მაგრამ როცა ქალები და ბავშვები გვტოვებენ და მარტო ვრჩებით მამაკაცები, გარდატეხა იწყება. მამაკაცები იქუფრებიან და ერთმანეთს საწყენ სიტყვებს ეუბნებიან. ჩვენთან შეჯახებაობად ითვლება სუფრასთან, სავსე სასმისით ხელში გულწრფელად უთხრა შენს საუკეთესო მეგობარს, რაც არ მოგწონს მისი. და, სწორედ შენგან გაიგოს საკუთარი ნაკლოვანებები და შეცდომები!

საქართველოში ვნახე, რა მოწიწებით ეპყრობიან ადამიანები ურთიერთს. შეხვედრისას ისინი ერთმანეთს ეხვევიან და ისე ხარობენ, თითქოს მთელი საუკუნე არ ენახოთ ერთმანეთი.

„მაგრამ როგორ უჭირავთ თავი სუფრასთან? — გავიფიქრე. — ალბათ ყველაფერს ამსხვრევენ ირგვლივ“.

სუფრას მივუსხედით. მამაკაცებს დიდებული და საზეიმო გამომეტყველება ჰქონდათ, როგორც ეკლესიის მგალობელთ სააღდგომო წირვის დროს. როგორც მეფეს, იდგა თამადა, გამართული, მაღლააწეული თავზე იმდენი ქება-დიდება ითქვა, რომ ვეღარ გავუძელი და ავცრემლდი... ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წუთებშიც ყველაზე საუკეთესო მეგობრებსაც კი არ უთქვამთ ჩემთვის მსგავსი არაფერი. პირიქით, ისინი ყოველთვის მარჩევდნენ, ცხვირი მაღლა არ ამეწია, არ მეფიქრა, რომ რაღაცას წარმოვადგენ. აქ კი...

როცა თამადამ ჩემი მღელვარება და გაოცება შენიშნა, ღიმილით მითხრა:

— ნუ სწუხართ, თქვენზე ცუდად როდი ვიცით ჩვენი სუსტი ადგილები. ადამიანს ლამაზ სიტყვებს იმიტომ კი არ ვეუბნებით, რომ დავაჯეროთ, კარგი ხარო, არამედ იმიტომ, რომ ვუჩვენოთ, როგორი უნდა იყოს.

შემდეგ მან სიმღერა წამოიწყო

ვასილ ცონევი

ვობისა და ყრმობის წლების საუკეთესო მეგობართა წრეში ვიყავი, იმათთან, ვისთანაც ერთად სკვებზე მიცოცხნია და მეჯლისები გამომართავს ბაღჩიკის სასახლის დარბაზებში. რომ არ მცნობოდა სუფრასთან მსხდომნი, ფიფიქრებდი, რომ ისინი პროფესიონალი მომღერლები არიან... მღეროდნენ საუკეთესო ქართულ მრავალჟამიერს. სხვა სიმღერებს და წარმოიდგინეთ, არა მხოლოდ მელოდია, სიტყვებიც კი ითხოვნენ. მე მათ ვუსმენდი და სერცხვილით ვწითლდებოდი. რომ არ შემეძლო მომეგონებინა თუნდაც ერთი ხალხური ბულგარული სიმღერა, თავიდან ბოლომდე რომ მეცოდნოდა.

ერთი დამაზი მოგზაურობა

მეგობრის თვალით

და სადაც არ ვიყავი შემდეგ — მთის ციცქნა სოფლებში თუ დიდ ქართულ ქალაქებში — ყველგან ომავე რაინდებს ვხვდებოდი — სხვადასხვა სახელისა და გვარის, სხვა, ჩვეულებრივი პროფესიის რაინდებს, მაგრამ ისეთსავე ამაყებს, დიდებულებს, საქართველოსა და მისი სიმღერების მოტრფიალეთ. თითქოს ყველა ერთი და იგივე გოლიათის მშენებელი იყო, რომელსაც რამდენიმე მილიონი სხვადასხვა სახელი ჰქონდა.

ვიყავი მუზეუმებში, ვნახე ძველი და ახალი. და ყველგან ვხვდებოდი ადამიანებს, რომლებიც საზეიმოდ დაიბრიჯებდნენ და თავიანთ საქმეს დღესასწაულივით აკეთებდნენ.

და მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს ვტოვებდი, მივხვდი. რაჯრომ იყო, რომ ყველა. ვინც კი მირჩევდა აქ ჩამოსვლას, ხალისმა შლიდა და აღტაცებით მიუბნებოდა, წაბრძანდი და თვითონ ნახეთ!

შენ გიგალობ, ჰაპპარაპ...



ჩემო პატარა მეგობრებო! ცნობილ ქართველ პედაგოგსა და მწერალს იაკობ გოგებაშვილს 27 ოქტომბერს დაბადებიდან 130 წელი უსრულდება. შესანიშნავი კაცი იყო ძია იაკობი. იცით, როგორ უყვარდა ბავშვები, ჩვენი ქვეყანა და ხალხი? დღენიადაგ სამშობლოსა და მის ნათელ მომავალზე ფიქრობდა, ძალიან ბევრს მუშაობდა და ყველაფერს აკეთებდა, რომ თქვენ ჭკვიანი, ნასწავლი და ბედნიერი ყოფილიყავით.

მერე, რა კარგი სახელმძღვანელოები დაწერა თქვენ-

ძია იაკობი

რულს, მშობლებისა და მასწავლებლების პატივისცემას.

ძია იაკობის მოთხრობები გასწავლით სიმართლეს, სიბეჯითეს, გულწრფელობას, მეგობრობას, გამბედაობას, საკუთარი ქვეყნის სიყვარულს, მშობლებისა და მასწავლებლების პატივისცემას.

ნთვის ძია იაკობმა! აბა გაიხსენეთ „დედაენა“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“ ან კიდევ მისი მოთხრობები და ლექსთა კრებულები: „კუნწულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „კოკორი“, „მოსავლის მცველნი“ და მრავალი სხვა.

იცით, ბევრ კარგ ბავშვს ზეპირად ახსოვს „იაენანამ რა ჰქმნა?“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“. ახლა კი, მოდით, გავიხსენოთ მისი „ვანო და ფრინველები“, „ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს“, „ვისა ჰქვია პატრიოტი?“.

ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს

ორი ბიჭი ყანიდან მოდიოდა. გზაზე დამპალი თოკი იპოვნეს. ერთიც თავისთვის ჩემობდა, მეორეცა. მოუვიდათ ჩხუბი. წაავლეს ხელები თოკსა და ერთი აქეთ ეწეოდა, მეორე იქით. უცებ თოკი გაწყდა და ორივენი აქეთ-იქით გადაიქცნენ.

იმათ საუბედუროდ, გზის მარჯვნივაც წუმპე იდგა, გზის მარცხნივაც.

ორთავე მოჩხუბართ თავი წუმპეში ჩაუვარდათ და შეიქმნენ თავლაფიანები.

ვანო და ფრინველები

ერთ პატარა ქალაქში სკოლა იყო გამართული. იმ სკოლაში სწავლობდა სოფლელი პატარა ვანო. ერთხელ ვანომ ძილში მშრალ საამური სიზმარი ნახა: ვითომც დილით ადრე მიირბინა მდინარის პირას, რომელიც ქალაქს გვერდით წაუდიოდა, და პირის ბანა დაიწყო. უცებ დიდა მოაგონდა და ძლიერ დაღონდა. თვალცრემლიანმა ყურება დაიწყო თავის სოფლისაკენ. ერთიც ვნახოთ, დაინახა იქიდან მომფრინავი ჩიტები. ვანომ ჩიტებს შესძახა:

— ჰე, ჩიტებო ჩიორებო,
მალხაზო და ნაცარებო!
სად ყოფილხართ, რა გინახავთ,
დედაჩემი არ გინახავთ?

ჩიტებმა მხიარულად ჩამოსჭიკჭიკეს:

— დედაშენი ამ დილაზედ
ბანზედ იყო გადმომდგარი
და ჭრელ წინდებს ვანოსათვის
ჰქსოვდა ტკბილად მოღიმარი.

მერე მოფრინდა მერცხალი. ვანომ იმასაც შესძახა:

— მერცხალო კუდმაკრატელა,
მოჭიკჭიკე, მონავარდე!
სად ყოფილხარ, დედაჩემი
არ გინახავს, თუ გიყვარდე?

მერცხალმა ალერსიანად ჩამოსჭიკჭიკა:

— თქვენი სახლის ერთ კუთხეში
ბუდე მჭონდა ანაშენი,
და ყოველთვის თვალწინ მედგა
მხნე, გამრჯელი დედაშენი;
ახალუხს რომ უკერავდა
ვანოს დიდი სიამითა,
მე მაღლიდან დავმღეროდი,
ვჭიკჭიკებდი ტკბილი ხმითა.

ბოლოს მოფრინდა ბულბული. ვანომ ამასაც შესძახა:

— შენ ბულბულო, მგალობელო,
ქვეყნად სწორი რომ არა გყავს,
სად ჰყოფილხარ, სიდან მოხვალ,
დედაჩემი არ გინახავს?

ბულბულმა მშვენივრად ჩამოუსტვინა:

— დედაშენი? როგორ არა!
ბაღში ვნახე მე ამ ხანად,
ლოყაწითელ ვაშლებს ჰკრეფდა
ვანოსათვის გასაგზავნად.

ამ საამურმა სიზმარმა ისე ძალიან გაახარა ვანო, რომ გამოეღვიძა. გათენებულიყო კიდეც. ადგა საჩქაროდ, პირი დაიბანა, წიგნები ხელში აიღო და მხიარულად მიირბინა სკოლაში. ვანო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და დედისგან მოელოდა ჭრელ წინდებს, ლამაზ ახალუხს და წითელ ვაშლებს. თვითონაც ცდილობდა კარგად ესწავლა და საყვარელი დედა გაეხარებინა.

ვისა ჰქვია პატრიოტი?

მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე.



„ვანო და ფრინველები“.

იური ქლიბაძის ნახატი

ვერმახტის საიდუმლო საქმე

მაია ნემიროვა

ევერ კალანდაძე

(დასასრული. დასაწყისი იხილეთ №№ 16, 17, 18, 19)

ნინიკაშვილი, ეტყობა, არ არის უჭკუო ბიჭი — როგორც იქნა განაგრძო გაბლიანმა. — ხელი აღმართო შენი მიწა-წყლის, შენი თანამემამულის, შენი ძმის წინააღმდეგ... ჩვენიანებს, ქართველებს გატაცებით, მე ვიტყოდი, ფანატიკურად უყვართ თავიანთი სამშობლო, მიწა-წყალი, საქართველო... იცით, დოქტორო, მე არასდროს არ ვმჯდარვარ უცხოელებთან სუფრაზე, მაგრამ ბევრი უცხოური ლიტერატურა წამიკითხავს. არ მახსოვს, რომ გერმანიაში, ამერიკაში ან ინგლისში, მაგალითად, არსებობდეს ტრადიცია და წარმოსთქვამდნენ სამშობლოს ბედნიერებისა და გამარჯვების სადღეგრძელოს. ჩვენთან ასეთი სადღეგრძელო სავალდებულოა ჩვეულებრივ სუფრაზეც კი. აღბათ სამშობლოს ბედიღბალზე ასეთი განუწყვეტელი წუხილი დამახასიათებელია პატარა ერებისათვის, რომელთა მიწა-წყალზე ხშირად თარეშობენ უცხო დამპყრობნი.

გაბლიანმა თვალები მოჭუტა, გაჩუმდა და ჩაფიქრდა. რაზე ფიქრობდა? იქნებ დედა — თბილისში ცნობილი და მოსწავლეთა საყვარელი პედაგოგი აგონდებოდა?

ქმრის ტრაგიკულ სიკვდილს არ მოუტეხია იგი, მას სწამდა, ბავშვებსაც უნერგავდა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს... იქნებ მშობლიური სავანეთის მთები აგონდებოდა, სადაც მისი მამა — ინჟინერი გზებს აშენებდა, რომ ამ გზით ახალი, თავისუფალი ცხოვრება, კულტურა და განათლება შესულიყო სვანეთში?... იქნებ თავის ძველს მეგობრებზე ფიქრობდა, რომელთა წინააღმდეგაც შეიძლება სამტროდ აღმართოს ხელი? ან ის აშფოთებდა, რომ თანამემამულეებმა შესაძლოა სამუდამოდ ამოიგლიჯონ გულიდან მისი სახელი. ძნელი იყო იმის გაგება, თუ რამ ჩააფიქრა გაბლიანი ამ წუთას, მისი სახე ღრმა სატანჯველს გამოსახავდა.

როგორც იქნა დაეწია ფიქრებს, თავი ასწია და თქვა:

— ძმისა და მოყვრის წინააღმდეგ ხელის აღმართვა, ნინიკაშვილისა არ იყოს, ძვირფასო დოქტორო, ადვილი არ არის, ეს მეტისმეტად ძნელი საქმეა...

— გაბლიანი სწრაფად წამოდგა, თითქოსდა ამ მძიმე ფიქრებს უნდა გაექცეს, ფანჯარასთან მივიდა და დააცქერდა მეცადინეობიდან დაბრუნებულ ბერგმანელთა განაყოფებს, მწყობრით რომ მოაბიჯებდნენ.

ხმას არც დიური იღებდა. რაღაც მოსალოდნელი უბედურების წინათგრძნობით აღძრული დარდი მასაც გადაედო.

მოულოდნელად გაბლიანი მკვეთრად შემობრუნდა, დიურს თვალებში მიაშტერდა და ჰკითხა:

— შემიძლია თქვენთან გულახდილი ვიყო, დოქტორო?

— რა თქმა უნდა, გივი, ჩვენ ვალდებულნი ვართ გულახდილნი ვიყოთ ერთმანეთის წინაშე.

გაბლიანი დიურის გვერდით ჩამოჯდა, სიგარეტი გამოართვა და მჭევრმეტყველურად წარმოთქვა:

— თქვენ, გერმანელები, საკვირველი ხალხი ხართ, ნიჭიერი, შორსმჭვრეტელი, მიზანსწრაფი და ამავე დროს გასაკვირველად მიამიტნი. გაბლიანმა დაინახა, როგორი გაკვირვება აღებეჭდა დიურის სახეზე, მაგრამ მაინც განაგრძო: — არ შეგედავებით — საბჭოთა სამხედრო ტყვეებისაგან ეროვნული შენაერთების შექმნა ორიგინალური იდეაა, მაგრამ... იგი უფრო მეტად სახიფათოა, ვიდრე თქვენ გგონიათ...

— ეს იდეა თვითონ ადმირალ კანარისს ეკუთვნის და მე ვფიქრობ, რომ... გაბლიანმა შეაწყვეტინა.

— სამწუხაროა, რომ კანარისს ჩემს ნაცვლად წიკლაური შეხვდა, მე ბევრს სასარგებლოს ვურჩევდი.

— ადმირალს თქვენ ურჩევდით? — აღშფოთდა დიური, — თქვენ მეტისმეტად დიდი წარმოდგენისა ხართ თქვენს თავზე, გივი!

— შესაძლოა, მაგრამ საქმე ის არის, რომ... მე ვიცი, რას წარმოადგენს საბჭოთა ადამიანი.

— თქვენი აზრით, ჩვენ არ ვიცით?

— არ იცით, დოქტორო! — გაბლიანი ფანჯრისაკენ შებრუნდა: — შეხედეთ, აი ჩვენიანები, ქართველები მოდიან. დიდებული, ლამაზი, ვაჟკაცური და ამავე დროს მეტად ეშმაკი ბიჭები. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი გულისთვის ისინი თავისიანებს ესვრიან?

— ხომ ესროდნენ ნახტომგალელები თავიანსავე უკრაინელებს?

გაბლიანმა მაშინვე გაამახვილა მისი სიტყვები:

— ნახტომგალელები?! იმათ როდისმე უცხოვრიათ საბჭოთა კავშირში? რა მიუტევებელი სიბეცეა დოქტორო, შეადარო ნახტომგალელები ბერგმანელებს! „ნახტომგალი“ რამდენადაც მე ვიცი, შედგენილი იყო საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური მოწინააღმდეგეებისა და პირწავარდნილი მტრებისაგან, ხოლო „ბერგმანი“? მისი პირადი შემადგენლობის ოთხმოცი პროცენტი, საბჭოთა ადამიანები არიან, რომლებსაც იძულებით იმსახურებთ თქვენ. მოდით, სიმართლეს თვალებში შევხედოთ: ამ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებასთან რაიმე სადავო აქვს? — არა. ეს ხალხი თავის თავს საბჭოთა წყობილების იდეოლოგიურ მოწინააღმდეგედ თვლის? — არა. ნებაყოფლობით იმსახურებენ ისინი თქვენს ჯარში? — არა. ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყვნენ, ისინი იარაღით ხელში იომებდნენ თქვენს წი... ოფიცრებს. იოცნებებდნენ თ... ლიანმა ფანჯრისაკენ ხელი გ... ტანი წიკლაური. თქვენ როგო... ხელისუფლებას? მეტისმეტად გახდა. თქვენ გსურთ, რომ ... წინააღმდეგ, რომელმაც იგი ... ბული, მაგისი მამა მთელი ... იყო, შვილი კი ოფიცერი გა... ტი უნდა ჰქონოდეს მას? ნ... ლატაკი გლეხის შვილი, ახლ... — უცხო ენების მასწავლებ... ობდა. ასპირანტი თედეევი — ოსის ბიჭს მხოლოდ ცხენებ... მერე ბაზარზე გაყიდვა. რო... ეს ხალხი იმათ წინააღმდეგ... გჯერათ, რომ ისინი ერთგულ... მტრებს, რომლებმაც ისინი ... მართლა გჯერათ ეს?!

თავჩაქინდრული, გაბორ... უყურებდა, ის კი განაგრძობდ...

— დაგითვლიათ როდისმე „... ში“? რამდენი ინჟინერი, ექი... რანტიას გაძლევთ, რომ ... კომკავშირელია. რას ნიშნავს სუხნებთ: ასი საბჭოთა ადა... გესმით, დოქტორო? მეტს ... ტებიც მსახურობენ და კომ... იცით. ისინი კი, ეჭვი არ ... აქტიურად, გესმით, რა არის ... ლიც თავის იდეებისათვის ... მიდიოდეს ჩვენი წამებული ... ჩემი საკუთარი თვალით მ... „სამშობლოსათვის, სტალინ... სხეულით ეფარებოდნენ თქ... ხალხი? შეიძლება ცოტახნით ვცხოვრობდი.

გაბლიანი სკამის ზურგს

— თქვენ რომ „ბერგმან... წყობილების იდეური მოწინ... ბისა და ოფიცრებისაგან, რო... თან, არამედ სულით და გუ...

ჩვენი კალენდარი

ნიკოლოზ ბარათაშვილი

21 ოქტომბერს შესრულდა XIX საუკუნის უდიდესი ქართველი მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 125 წლისთავი.

ბარათაშვილის შემოქმედება მარად ცოცხალი, ერის ფასდაუდებელი საუნჯეა, რომელიც არა მარტო ქართულ პოეზიას ამშვენებს, არამედ ღირსეულად უდგას გვერდში მსოფლიო პოეზიის გვირგვინოსნებს.

იგი ქართლის ბედზე, მის ნათელ მომავალზე მეოცნებე მგოსანია, რომელიც სამშობლოს სიყვარულში, მის ტრფიალსა და სამსახურში ჩაიფერფლა.

ბარათაშვილი უმღეროდა სიყვარულისა და მეგობრობის უკეთილშობილეს გრძნობებს. ამიტომ არის, რომ მისი ლექსები დიდი ხანია შეიყვარა მსოფლიოს მრავალმა ხალხმა. დღეს, არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზე, არამედ ინგლისურად და ფრანგულად, გერმანულად და იტალიურად, ჩეხურად და პოლონურად ყღერს ტატოს ლექსები.

საყურე

ვითა პეპელა
არხევს ნელნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად
ახრილს,
ასე ს. ურე,
უცხო საყურე
ეთამაშება თავისსა ჩრდილს.
ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
შენის შერხევით,
სიო მობერვით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!
ჰოი საყურეო,
გრძნებით ამრევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ
დაიტკბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვას?
ვინ სული თვისი
ზედდაგაკონოს?

. . .

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდგან ვეტრფოდი.
და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაციებული,
ვფიცავ — არ ვეტრფო
არ ოდეს ფერსა სხვას.
თვალებში მშვენიერს
ვეტრფი მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
გამოჰკრთის სიამით.
ფიქრი მე სანატრი
მიმიწვევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს.
მოვჰკვდები — ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს, —
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამფრქვევს ცვარს ციურს!
სამარეს ჩემსა, როს
გარს ნისლი მოეცვას —
იგიცა შესწიროს
ციაგმან ლურჯსა ცას!

ჩვენი კალენდარი

„მაცნე“ — ასლებშია

ცნობილი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის ინიციატივით ჟურნალ „მაცნეს“ ორ ნომერს ერთად გამოსცემენ. ამ ნომრებში ქართველ მეცნიერთა ნაშრომებთან ერთად გამოქვეყნებულია ინოსტრანელ მეცნიერთა სტატიები. ჟურნალის ამ ნომრების გამოსვლა ეძღვნება ქართველ ხალხთა ეროვნული ეპოსის — შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ 800 წლისთავს.

ამ ნომრების გამოსვლასთან დაკავშირებით ჟურნალ „მაცნის“ მთავარი რედაქტორის აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის მოადგილე ბატონ ვახტანგ ბერიძეს ჟურნალისტი ესაუბრა.

— ბატონო ვახტანგ, ალბათ ბევრი მკითხველი დაინტერესდება, თუ რატომ გამოსცემთ ჟურნალ „მაცნის“ ორ ნომერს ერთად?

— ეს ორგანო, რომელიც აქამდე ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა, 1971 წლიდან ახლებურად გამოიცემა. იგი სამ სერიად გაიყო: I — ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის (რედაქტორი — დოქტორი ნიკო ჰავჰაშვილი), II — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის (რედაქტორი — აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი), III — ენისა და ლიტერატურის (რედაქტორი — აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე); თითოეული სერია ნაბეჭდი 12 თაბახის ოდენობით წელიწადში ოთხჯერ გამოიცემა. ამით შეიძლება შესაძლებლობა იქმნება უფრო სრულად და დროულად აისახოს საქართველოს მეცნიერთა ის მუშაობა, რომელიც ჩვენი ერის დღევანდელი. წარსული და მომავალი ცხოვრების ღრმა შესწავლისაკენ არის მიმართული. „მაცნეს“ მთავარი რედაქტორის აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის თქმით, სერიაში უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის, ქრონიკისა და ინფორმაციის განყოფილებები, მეტი ადგილი დაეთმობა პუბლიკაციებს, გაუმჯობესდება ხელოვნების ისტორიასთან, არქეოლოგიასთან თუ ეპიგრაფიკასთან დაკავშირებული მასალის ილუსტრირებაც.

ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეთა მიმართ კი „მაცნეს“ სამივე სერიის სარედაქციო კოლეგიის თხოვნა ასეთია: — მოგვწერეთ თქვენი აზრი „მაცნეში“ გამოქვეყნებულ წერილებზე, გამოგვიგზავნეთ მეცნიერული ნაშრომები, ცნობები თქვენს მიერ სადმე უცხოეთში შეგნულებულ ქართულ ხელნაწერებსა თუ სხვა სიძვირეებზე.

ჯაცნე შიკრიკს, ახალი ამბის შემტყობინებელს, მაუწყებელს ნიშნავს („მაცნე მოიდა შატილსა“, — ასე იწყება ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“). ეს სახელი შეურჩია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარულ ჟურნალს გამოჩენილმა აკადემიკოსმა, ქართული ძველმწიგნობრული და ხალხური ლექსიკის დიდმა მცოდნემ აკაკი შანიძემ. „მაცნე“ აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანოა და ეკი ძირითადად ამ განყოფილების ინსტიტუტების თანამშრომელთა მუშაობის შედეგებს აცნობს თავის მკითხველებს.

„მაცნე“ — ასლებშია

და აი ეს ორგანო, რომელიც აქამდე ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა, 1971 წლიდან ახლებურად გამოიცემა. იგი სამ სერიად გაიყო: I — ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის (რედაქტორი — დოქტორი ნიკო ჰავჰაშვილი), II — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის (რედაქტორი — აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი), III — ენისა და ლიტერატურის (რედაქტორი — აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე); თითოეული სერია ნაბეჭდი 12 თაბახის ოდენობით წელიწადში ოთხჯერ გამოიცემა. ამით შეიძლება შესაძლებლობა იქმნება უფრო სრულად და დროულად აისახოს საქართველოს მეცნიერთა ის მუშაობა, რომელიც ჩვენი ერის დღევანდელი. წარსული და მომავალი ცხოვრების ღრმა შესწავლისაკენ არის მიმართული. „მაცნეს“ მთავარი რედაქტორის აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის თქმით, სერიაში უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის, ქრონიკისა და ინფორმაციის განყოფილებები, მეტი ადგილი დაეთმობა პუბლიკაციებს, გაუმჯობესდება ხელოვნების ისტორიასთან, არქეოლოგიასთან თუ ეპიგრაფიკასთან დაკავშირებული მასალის ილუსტრირებაც.

ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეთა მიმართ კი „მაცნეს“ სამივე სერიის სარედაქციო კოლეგიის თხოვნა ასეთია: — მოგვწერეთ თქვენი აზრი „მაცნეში“ გამოქვეყნებულ წერილებზე, გამოგვიგზავნეთ მეცნიერული ნაშრომები, ცნობები თქვენს მიერ სადმე უცხოეთში შეგნულებულ ქართულ ხელნაწერებსა თუ სხვა სიძვირეებზე.

ბანდიტები უნდა დაისაჯონ

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქვეყანას. ადამიანთა ალშფოთებასა და გულისწყრომას ბოლო არ უჩანს, ბანდიტები უნდა დაისაჯონ, მათ პასუხი უნდა აგონ საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე! ამ სიტყვებს გაიგონებთ ყველგან, სადაც უნდა მოხვდეთ, ვინაც უნდა გამოელაპარაკოთ.

...დიქტორმა ბათუმიდან სოხუმში მიმავალი მგზავრები გააფრთხილა, ჩასხდომა იწყებაო. რამდენსამე წუთის შემდეგ ყველაფერი მზად იყო გასაფრენად. ხომალდის „ან-24“-ის მეთაურმა გიორგი ჭახრაკიამ კიდევ ერთხელ მიმოავლო თვალი ხელსაწყოებს, სარბენ ბილიკზე მდგომ გამცილებლებს აღმართული ცერით გაუმეშვიდობა და ხომალდი ადგილს მოსწყვიტა.

ბორტგამყოლმა ნადეჟდა კურჩენკომ თვითმფრინავში მსხდომ მგზავრებს ადგილზე მშვიდობით ჩასვლა უსურვა... ამ დროს მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა, რამაც ასე აღაშფოთა მთელი ჩვენი ხალხი. ორი შეიარაღებული მამაკაცი მფრინავის კაბინაში შეიჭრა. პირველი, ვინც წინ აღუდგა ბანდიტებს, კომკავშირული ქალიშვილი ნადეჟდა კურჩენკო იყო. გაისმა გასროლის ხმა და ქალიშვილი, რომელსაც ჯერ ოცი წელიც არ შესრულებოდა, წარბშეუხრელი შეხვდა სიკვდილს, დაეცა პოსტზე როგორც ჯარისკაცი, როგორც სამშობლოს, ხალხის ერთგული შვილი.

გიორგი ჭახრაკია მიხვდა, რაც სურდათ თავდამსხმელებს, რომლებიც მხოლოდ ორ სიტყვას გაიძახოდნენ — თურქეთი! თურქეთი!.. იგი შეეცადა თვითმფრინავის მკვეთრი მოძრაობით ძირს დაეცა ბანდიტები, მაგრამ მოძალადენი მოუხვდნენ ჩანაფიქრს. კიდევ ერთი გასროლა და მძიმედ დაჭრილმა გიორგიმ გრძნობა დაკარგა. ბანდიტების ხელიდან გასროლილმა ტყვიამ მძიმედ დაჭრა აგრეთვე შტურმანი ვალერი ფადეევი. საფრთხე შეექმნა 46 მგზავრის სიცოცხლეს. ტყვიებით დაცხრილულ თვითმფრინავს დაღუპვა ემუქრებოდა. წინააღმდეგობის გაწევა უაზრო იყო. მეორე პილოტმა სულიკო შავიძემ დაჭრილი მეთაურის დახმარებით ხომალდი ტრაპიზონის აეროდრომზე დასვა.


თურქეთის მთავრობამ ეკიპაჟი და მგზავრები მეორე დღისვე დაბრუნა სამშობლოში. რაც შეეხება ბანდიტებს, რომლებიც უცხოეთში თავშესაფრის მაძიებლები მამა-შვილი კორეივოები აღმოჩნდნენ და რომლებსაც თან ნაჭურდალი 6.500 დოლარი და ოქრო მიჰქონდათ, მათ საქმეს თურქეთის პროკურატურა იძიებს. სამწუხაროდ, ახლა ამ გარეწრებს ბევრი დამცველი აღმოუჩნდა, განსაკუთრებით გაქტიურდნენ რეაქციული ემიგრანტული და ანტიკომუნისტური ორგანიზაციები. უცხოეთის გაზეთები წერენ, რომ „ამერიკის შეერთებული შტატებიდან ანკარაში უკვე ჩავიდნენ ლიტველ ემიგრანტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომლებიც ცდილობენ არ მისცენ საბჭოთა მთავრობას თვითმფრინავის მომტაცებლები“.

ბანდიტები უნდა დაისაჯონ, მათ პასუხი უნდა აგონ საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე! — ამ სიტყვებმა კიდევ ერთხელ მოიარა მთელი საქართველო, მთელი ჩვენი ქვეყანა, როდესაც სოხუმას კომკავშირულ პარკში ათასობით ადამიანმა დიდი მწუხარებით მიაბარა მიწას გმირი ქალიშვილის ნადეჟდა კურჩენკოს ცხედარი.

პირველი სახალხო არქიტექტორი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებულებით საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, პირველად ჩვენს ქვეყანაში, სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორის საპატიო წოდება მიენიჭა ხუროთმოძღვართა ერთ ჯგუფს.

მათ შორის არის თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ჩვენს რესპუბლიკასა და დედაქალაქ თბილისში ბევრი საუკეთო არქიტექტურული ნაგებობისა და ანსამბლის ავტორი, არქიტექტორთა გულისხმიერი აღმზრდელი და მასწავლებელი **არჩილ გრიგოლის ძე ჭურდიანი.**



სურათზე: (მარცხნიდან) ლადო გუდიაშვილი, პოეტი კარლო კალაძე, მხატვარი უჩა ჯაფარიძე გამოფენის გახსნაზე.

შეხვედრა სიხარულთან

ლადო გუდიაშვილი იმ ბედნიერ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის შემოქმედებასთან შეხვედრა მუდამ უზომო სიხარულს ანიჭებს ადამიანს. მისი ყოველი გამოფენა ან მონაწილეობა ამა თუ იმ ექსპოზიციაში მნახველებს ანდამატივით იზიდავს და სიტკბოებისა და აღტაცების წუთებს განაცდევინებს. ლადო გუდიაშვილის გარეშე წარმოუდგენელია ქართული სახვითი ხელოვნება.

გაისად ლადო გუდიაშვილი 75 წლისა გახდება, მაგრამ წლები ვერაფერს აკლებს მის ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე გულს. და ეს რომ ნამდვილად ასეა, ერთხელ კიდევ დადასტურდა მისი გრაფიკული ნამუშევრების გამოფენით, რომელიც ახლახან გამართა გამომცემლობა „მერანმა“ თავის სალონში.

გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევართა უმეტესობა წლეულს არის შესრულებული. კიდევ ერთხელ გვიბლავით ყინწვისის უბადლო მოხატულობის დიდოსტატის პირდაპირი შთამომავლის საოცარი ხელოვნება. კედლებიდან შემოგვცქერიან მისი კდემამოსილი პერსონაჟები, შვლისთვალებიანი ასულები, შემოგვცქერიან და უძირო მზერით გვატყვევებენ, მშვენიერების ჯადოსნურ სამყაროში გვახვევენ.

გამოფენის გახსნას ბევრი დამთვალიერებელი დაესწრო. სიტყვით გამოვიდნენ გამომცემლობა „მერნის“ დირექტორი პოეტი კარლო კალაძე, საქართველოს მხატვართა კავშირის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, პოეტი ოთარ ჭილაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოთარ ფირალიშვილი.

ლადო გუდიაშვილმა მადლობა გადაუხადა გამომცემლობა „მერანს“ და შეკრებილთ ყურადღებისათვის.

რუსთაველის პრემიის ლაურეატის, სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის გრაფიკულ ნამუშევართა გამოფენა „მერნის“ სალონში ერთ თვეს გასტანს.

ვიეკვნა მეცნიერის ხსოვნას

თბილისის უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრამ გამართა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეგის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საიუბილეო საღამო გახსნა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ. დაბსწრეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს მეცნიერის ხსოვნას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის დიად საქმეს მოახმარა. მოხსენება ლეონ მელიქსეთ-ბეგის ცხოვრება-მოღვაწეობაზე წაიკითხა პროფესორმა ივანე შილაკაძემ.

სიტყვითა და მოგონებით გამოვიდნენ ისინი, ვისაც ლეონ მელიქსეთ-ბეგთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა, ვინც წლების მანძილზე მასთან მუშაობდა ქართულ-სომხური ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების ურთიერთობის საკითხებზე — აკადემიკოსები შალვა ამირანაშვილი, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, სერგი ჯიქია, ალექსანდრე ბარამიძე და სხვები.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მეტად პრინციპული მეცნიერი იყო. მას მთელი გულით უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი. 1918 წლიდან, როცა იგი თბილისის ახალგახსნილ უნივერსიტეტში მოიწვია დიდმა ივანე ჯავახიშვილმა, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თავისი მოღვაწეობით განამტკიცებდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ბიბლიოგრაფიაში 600-ზე მეტი ნაშრომია. იგი იყო საიათნოვას ცხოვრება-შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და საფუძვლიანი მცოდნე.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის გარდაცვალების შემდეგ, მისი ანდერძის თანახმად, ოჯახმა უნივერსიტეტს გადასცა მეცნიერის პირადი ბიბლიოთეკა — 5.000-მდე წიგნი, მათ შორის ბევრი უნიკალური გამოცემა. წიგნები გადაეცა არმენოლოგიის კაბინეტს, რომელიც მელიქსეთ-ბეგის სახელს ატარებს. ამ დღეებში განსვენებულის ოჯახმა კაბინეტს კიდევ ათასამდე წიგნი გადასცა.

საიუბილეო საღამოზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ამ შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის შესახებ.

ახალი სამინისტრო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი სამინისტრო — საქართველოს სსრ იუსტიციის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დაინიშნა **ვლადიმერ ივანეს ძე მაისურაძე,** რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობდა.

ჩვენი მასპინძლის მარანში...

მასპინძელი წარბგაშლილი, ხელგაშლილი და გულღია... ნამდვილი იმერელი თავისი მოქმედებით, ცხოვრებით. სახელად ალექსანდრე ჰქვია, გვარად კი გაბრიჭიძე გახლავთ.

— ცუდი დრო შემირჩიეთ, ყმაწვილებო. ვენახისაგან მოუცლელი ვარ, სადღეგრძელო მოკლედ უნდა ვთქვა, ღვინოც პატარა ჭიქით შევსვა, საღამომდე დამაცადეთ და მერე ჩემი თავი გენაცვალოთ, — ბოდიშს იხდის ძია ალექსი, თან მოსვენებას არ გვაძლევს — გადაიღეთ, მიირთვით, გემო გაუსინჯეთო...

სუფრაზე კი მადის მომგვრელად ჩალაგებულა ცხელი მჭადი და ჭყინტი ყველი, ხაჭაპური და შემწვარი ქათამი, მშრალად მოხარშული ხორცი და საცივი. უსაყვედურო, ალალი გულით მორთმეული.

ლუკმა გავტეხეთ, ჭერი დავლოცეთ, მასპინძელს ბარაქიანი რთველი ვუსურვეთ და მასთან ერთად ზვარს მივაშურეთ.

ნადში ხალხის სიმრავლემ გაგვაოცა. მასპინძელი მიგვიხვდა და აგვიხსნა: სოფლის ამ კუთხეს გაბრიჭიძეების უბანი ჰქვია. ერთი ოჯახის განაყოფი ვართ. ერთად დავსახლდით ოთხივე ძმანი — შალვა, გიორგი, დავითი, — გაგვაცნო თითოეული. შემდეგ მათი შვილები და შვილიშვილები წარმოგვიდგინა: ალეკო, ქეთინო, ნინო, მანანა, გია, თენგიზი, თამაზი, ნოდარი, ზურაბი, თამარი, ბუხუტი... ოცდახუთი სახელი ჩავიწერე უბის წიგნაკში. ყველაზე ბოლოს უფროსი შვილი გუჯა გაგვაცნო. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს გარეთაც ბევრი აქვს საქმე და დაგვიანებისათვის არავის უსაყვედურებია. ერთზე დასწყდა გული კეთილ მასპინძელს — ჩემი ექიმი ქალიშვილი თინა ვერ გაგაცანით, მოსკოვშია მივლინებაშიო.

ივსება ხვავითა და ბარაქით მასპინძლის მარანი. ქმები ყოველ წელიწადს თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე ერთად 38-40 ტონა ყურძენს კრეფენ. დიდ ნაწილს სახელმწიფოს აბარებენ საკმაოდ ხელსაყრელ ფასებში, წელიწადის საყოფს კი წურავენ და ქვევრებში ასხამენ.

ბინდი ჩამოწვა. გვეყოფა მუშაობაო, თქვა მასპინძელმა და სახლისაკენ გაგვიძღვა. სახლი კი იმოდენაა, ორსართულიანი, ათი ამდენიც რომ ვიყოთ, ყველას დაგვიტევს. სტუმრები მყავსო და ალექსანდრემ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან კაცი აფრინა. სოფლის თავკაცის გაცნობა ჩვენც გვაინტერესებდა, კვალითის ავ-კარგს მასზე უკეთ ვინ გვეტყოდა. თავმჯდომარეც მალე გამოჩნდა. გაგვიკვირდა — 23-24 წლის ქერათმიანი გოგონა ინსტიტუტის ლაბორატორიას უფრო დაამშვენებდა, ვიდრე თავმჯდომარის კაბინეტს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია და ჩვენც 1.200 კომლის რჩეულის დავარ ხურსკივაძის ღიმილს ღიმილი შევაგებეთ.

წარსულზე ცოტა გვითხრა. ესა თქვა მხოლოდ — ძველებისაგან გამიგია, აქაურ კაცს ცხოვრება ძალზე უჭირდაო, სამაგიეროდ, კვალითის დღევანდელ დღესა და მომავალზე ილაპარაკა დიდხანს. სოფელს სამი სკოლა აქვს და ორი საბავშვო ბაღი, ვენახი — 131 ჰექტარზე, მრავლად ჰყავთ პირუტყვი, თესავენ სიმინდს, ლობიოს. სამუშაოთა უმეტესობას მანქანები ასრულებენ. გაჰყავთ გზები, აქვთ კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები, კლუბი...

ლხინად გაშლილ სუფრას ორმოცამდე სული შემოვუსხედით. თამადამ ყველას თავისი უთხრა, უდღეგრძელებელი არავინ დაუტოვებია... მასპინძელი კი კვლავ ბოდიშს იხდის ასეთი „პატარა“ პურმარილისათვის.

ალიონს ფეხად აჰყვა დიდი თუ პატარა, წინადღით დაწყებული რთველი გაგრძელდა გაბრიჭიძეების ოჯახში...

რევაზ მაჭავარიანი,
ზესტაფონი, სოფელი კვალითი.



სურათზე: ალექსანდრე გაბრიჭიძე.
სანდრო მამასახლისის ფოტო

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი — ღვთისმეტყველების დოქტორი

9 ოქტომბერს ლენინგრადში, სასულიერო აკადემიის დიდ დარბაზში გაიმართა საბჭოს სხდომა, სადაც საზეიმოდ გამოცხადდა სასულიერო აკადემიის საბჭოს **1970** წლის **19** ივნისის დადგენილება. ამ დადგენილების თანახმად ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო წოდება მიენიჭა უწმინდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორეს მრავალმხრივი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეობისათვის, დიდი საღვთისმეტყველო ერუდიციისათვის.

სრულიად საქართველოს კათალიკოსს საზეიმოდ გადაეცა სადოქტორო დიპლომი და ოქროს ჯვარი.

ეს დიდი დაფასება, — განაცხადა ეფრემ მეორემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში, — მავალებს მომავალშიც შევიტანო ჩემი მოკრძალებული წვლილი ქართველი ერის წინსვლისა და კეთილდღეობის, ხალხთა დაახლოებისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

მოპოვებულია იენის უნივერსიტეტში

„ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ენათმეცნიერ გურამ რამიშვილს — თბილისის სახელმწიფო ქართული უნივერსიტეტიდან, მიანიჭა მეცნიერებათა დოქტორის უმაღლესი აკადემიური ხარისხი. ეს იყო მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი მოვლენა. ამით არა მარტო პირველმა საბჭოთა მოქალაქემ მოიპოვა იენაში ეს მეცნიერული საკვალიფიკაციო ხარისხი, დოქტორი რამიშვილი არის საზოგადოდ პირველი მეცნიერი საბჭოთა კავშირიდან, რომელსაც 1945 წლის შემდეგ ეს უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა გერმანულ უნივერსიტეტში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სამეცნიერო ხარისხის მინიჭებამ შექმნა ეტაპი თბილისსა და იენის უნივერსიტეტების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის“ — აღნიშნავდა გერმანული გაზეთი „ფოლკსბახტი“ სულ ახლახან ჩვენი უნივერსიტეტის დოცენტ ენათმეცნიერ გურამ რამიშვილზე. იენის პროფესორი ფრანც ბოლკი კი ჩვენი უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ილია ვეკუას სწერდა: „ჩემთვის მეტად სასიამოვნოა გაცნობოთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ბატონმა გურამ რამიშვილმა წარმატებით დაასრულა თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში... განსაკუთრებით სიხარულს მგვრის ის ფაქტი, რომ პირველი უცხოელი მეცნიერი, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სენატმა ეს მაღალი აკადემიური ხარისხი მიანიჭა, იმ უნივერსიტეტის წარმომადგენელია, რომელთანაც ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს. როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ მოღვაწეობაში დამსახურებისათვის გურამ რამიშვილი დაჯილდოვდა ფრიდრიხ შილერის სახელობის საპატიო მედლით“.

ქართველ მეცნიერს გერმანელი კოლეგები ადრეც იცნობდნენ მისი გამოკვლევებით ჰუმბოლდტის ენის თეორიული მემკვიდრეობისა და საკუთრივ ენის შინაფორმის შესახებ. პროფესორმა გერტრუდ პეჩმა 1967 წელს გერმანულად თარგმნა მისი ნაშრომი „ენის ფორმის ცნება ჰუმბოლდტთან“. 1968 წელს კი იგი მიიწვიეს ლექციების კურსის წასაკითხად ჰუმბოლდტის სანათმეცნიერო მოძღვრებისა და ენის თანამედროვე თეორიის სპეციალურ პრობლემებზე. ამავე დროს გურამ რამიშვილი მართავდა სასაუბრო სემინარებს ქართულ ენაში იენელი ქართველოლოგებისათვის, მოხსენებებით გამოდიოდა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში.

ახლახან კი შედგა სადოქტორო დისერტაციის დაცვა. დისერტაციის თემა იყო „ენის შინაფორმის პრობლემა თანამედროვე ლინგვისტიკაში“. საინტერესოა რეცენზენტების აზრი ამ ნაშრომზე.

„ნაშრომი აყენებს მნიშვნელოვან თეორიულ პრობლემებს ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების სფეროში“ — პროფესორი ჰუბერტი.

„ამ ნაშრომში ავტორი ავითარებს ენათა შედარების სრულიად ახალ კონცეფციას, რომელსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს“ — პროფესორი ფორვერგი.

„მან შეძლო შეემუშავებინა ენათა სემანტიკური შეპირისპირების ახლებური მეთოდი... ამ ახალი მეთოდის დაფუძნება ჩაითვლება ავტორის ბრწყინვალე მონაპოვრად“ — პროფესორი შპიცბარდტი.

ოპონენტებმა საჭიროდ ცნეს გურამ რამიშვილის სადოქტორო შრომის გერმანულ ენაზე მონოგრაფიული გამოცემა. გერმანულმა პრესამ საუკეთესო შეფასება მისცა ქართველი მეცნიერის დისერტაციას.



ფიზიკოსთა № 1 პრობლემა

პლაზმის ფიზიკის საერთაშორისო სკოლის წარმომადგენელთა შეკრების ბოლო დღეებია...

თბილისის ფიზიკის ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერები ბჭობენ. ისინი კიდევ ერთხელ შესჭიდებიან თავიანთ № 1 პრობლემას. „ხელოვნური მზის“ შექმნა სომ საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობის საქმეა.

კათედრაზე ახალგაზრდა მამაკაცი დგას. ორმოცი წლისა თუ იქნება. გრძელი თმა საფეთქლებთან ჩამოშლია. მისი დამაჯერებელი საუბრიდან ვეებერთელა ცოდნა და ამდენივე ენერგია იღვრება.

პროფესორ ანრი რუხაძის ლექციის თემაა: „ელექტრონების კონების ურთიერთმოქმედება პლაზმასთან“. მას გულდასმით უსმენენ ამერიკელი და ინგლისელი, გერმანელი და იტალიელი, ბულგარელი და უნგრელი მხცოვანი მეცნიერები.

ჩვენი თანამემამულე პლაზმის ფიზიკაში აღიარებული მეცნიერია და მას კარგად იცნობენ ყველგან, სადაც

მზის მაძიებელი

კი მუშაობენ „ხელოვნური მზის“ შექმნის პრობლემაზე.

პროფესორმა ზუსტად სამ საათზე დაამთავრა ლექცია, გამოემშვიდობა მეგობრებს, დატოვა დაფასთან მიზღვავებული ფიზიკოსები, რომლებიც სწავლობდნენ რაღაც ახალს, პლაზმისათვის აუცილებელს. ეს სიახლე აქამდე ქართველ ფიზიკოსს ანრი რუხაძეს ეკუთვნოდა, ახლა კი ყველა ქვეყნის კოლეგებს გაუზიარა.



პროფესორი რუხაძე მეგობრებმა აეროპორტში გააცილეს. დილით მის სახელზე დეპეშა მოსულიყო. მოსკოვის უნივერსიტეტის გაზური პლაზმის ლაბორატორიას თავისი ხელმძღვანელი დასჭირებოდა საჩქაროდ.

ქართველი მეცნიერის შესახებ ახლა ცნობილი ფიზიკოსები გვესაუბრებიან.

პროფესორი ნოდარ ცინცაძე: — ანრი რუხაძე თბილისელია. 1930 წელს დაიბადა. მამამისი ცნობილი ქართველი მათემატიკოსი ამბროსი რუხაძეა. ანრიმ თბილისის ვაჟთა მეშვიდე სკოლა დაამთავრა და 1948 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკურ-ტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

აკადემიკოსმა იგორ ტამმა შეამჩნია ჭაბუკის დიდი მონაცემები და ასპირანტად აიყვანა. 28 წლისა იყო ანრი, საკანდიდატო დისერტაცია რომ დაიცვა და დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა — „პლაზმის მდგრადობაში“.

პროფესორი ნორმან ზაბუსკი: — ქართველმა მეცნიერმა პროფესორ ვიქტორ სილინთან ერთად შექმნა ნაშრომი „პლაზმისა და პლაზმის მსგავსი სხეულების ელექტროდინამიკა“, რომელიც ყველა თეორეტიკოსის სამაგიდო წიგნი გახდა. დღეისათვის ანრი რუხაძე პლაზმის ფიზიკაში 200-მდე შრომის ავტორია, ხოლო მისი ნაშრომები პლაზმის მდგრადობის თეორიაში მსოფლიოშია ცნობილი. ორიოდე კვირის წინათ მან დიდ მეცნიერ ვიტალი გინზბურგთან ერთად გამოსცა წიგნი „ტალღები დამაგნიტებულ პლაზმაში“, ეს ნაშრომი უკვე საზღვარგარეთაც იბეჭდება — დასავლეთ გერმანიასა და ბულგარეთში.

პროფესორი ნოდარ ცინცაძე: — ანრი რუხაძემ 1964 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „არაერთგვაროვანი სხეულების ელექტროდინამიკა“ და მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორად მიიწვიეს. დღეს ახალგაზრდა მეცნიერი ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის სექტორის გამგეა, ხელმძღვანელობს მოსკოვის უნივერსიტეტის გაზური პლაზმის ლაბორატორიას. უკვე მოასწრო ცამეტი მეცნიერებათა კანდიდატის გამოზრდა. მათ შორის ორი ქართველია. რამაზ რამაზიშვილი მოსკოვის ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობს, ხოლო რამაზ კიკვიძე თბილისის კიბერნეტიკის ინსტიტუტში.

პროფესორი ბერმან იორდანი: — გამოზარდა აგრეთვე უცხოელი მეცნიერები. ახლაც ჰყავს გერმანელი და ბულგარელი ასპირანტები, პროფესორი რუხაძე ხშირად კითხულობს ლექციებს უცხოეთში. მის გამოსვლას ყოველთვის ინტერესით ველოდებით ფიზიკოსთა საერთაშორისო შეკრებებზე.

პროფესორი ნოდარ ცინცაძე. — საყოველთაო აზრით ანრი რუხაძე დღეს პლაზმის ფიზიკაში ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერია. იგი ამჟამად მუშაობს კრიტიკული დენების პლაზმაში გატარებაზე. უკვე აწყობენ ექსპერიმენტულ ცდებს და, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი თანამემამულე კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს. და გაიმარჯვებს მრავალჯერაც. მისი გზა, როგორც დიდი მეცნიერისა, ჯერ კიდევ წინ არის.

ჯუმბერ ჯიქიძე.

ლეს თბილისში დამთავრდა პლაზმის საერთაშორისო სკოლის წარმომადგენელთა შეკრება.

ქართველი და რუსი, ამერიკელი და გერმანელი, ინგლისელი და იტალიელი პროფესორები და აკადემიკოსები მუშაობდნენ ფიზიკოსთა № 1 პრობლემაზე.

რას ნიშნავს პლაზმის სკოლა? რა პრობლემებზე მუშაობდნენ მსოფლიოს საუკეთესო ფიზიკოსები? ამ კითხვებზე გვიპასუხა თბილისის პლაზმის სკოლის დირექტორმა, პროფესორმა ნოდარ ცინცაძემ.

— პლაზმა არის მზე, ვარსკვლავები, ყოველი გავარვარებული მასა.

მეცნიერთა ვარაუდით, ოდესმე დედამიწაზე ამოიწურება ნავთობი, ქვანახშირი და სხვა სათბობი რესურსები. ამიტომ ფიზიკოსები ენერგეტიკის საკითხებს დღეს ძალზე დიდ ყურადღებას უთმობენ, ცდილობენ შექმნან ხელოვნური მზე — გავარვარებული მასა, რომელიც შემდგომში ნავთობისა თუ ქვანახშირის მაგივრობას გასწევს. ამასთანავე პლაზმა უნდა შეიქმნას ისეთი ნივთიერების ხარჯზე, რომლის მარაგიც დედამიწაზე ულევი იქნება.

აი ამ საკითხს აყენებენ ფიზიკოსები № 1 პრობლემად და ამ დარგში მუშაობენ დღეს მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერები.

პლაზმის ფიზიკის საერთაშორისო სკოლა საქართველოში პირველად მოეწყო. მისი ორგანიზატორები იყვნენ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი ფიზიკისა და ასტრონომიის განყოფილება, პლაზმის ფიზიკის პრობლემური საბჭო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი.

პლაზმის საერთაშორისო სკოლა პრინციპულად განსხვავდება მეცნიერთა ჩვეულებრივი კონფერენციებისაგან. ფიზიკოსები ძალზე დიდი ხნით ადრე ემზადებიან ლექციებისათვის და შეკრებაზე ზუსტად იმდენი დრო ეთმობათ, რამდენიც საჭიროა მათ მიერ წამოყენებულ მოსაზრებათა ძირფესვიანი ანალიზისათვის. აქ მოსწავლეების როლში გვევლინებიან სახელმოხვეჭილი ფიზიკოსები, რომლებიც ერთიმეორისაგან სწავლობენ კაცობრიობისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი პრობლემის ცალკეულ საკითხებს. ამიტომ ეწოდება სკოლა მეცნიერთა ამ დიდ ფორუმს.

ასეთი „მოსწავლეები“ და ამათთან საუკეთესო მასწავლებლებიც, სხვებთან ერთად არიან ქართველი მეცნიერები — პროფესორი ანრი რუხაძე, ჯუმბერ ლომინაძე, ციალა ლოლაძე, ავთანდილ პატარაია, სულხან ნაბობაშვილი, ნიკოლოზ კერვალიშვილი და სხვები. ისინი არაერთხელ გამოსულან საინტერესო ლექციებით ინგლისში, ჰოლანდიაში, ავსტრიაში, რუმინეთში, იუგოსლავიაში...

თბილისში პლაზმის ფიზიკის სკოლის მსმენელებმა 25 ლექცია მოისმინეს. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებო იყო საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ბორის კოდომცევისა და ევგენი ლივშიცის, აკადემიკოს რუალდ საგდეევის, ამერიკელი პროფესორების ნორმან ზაბუსკისა და ჩარლ ფორტონის, ოჰსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ ლესლი ვუდსის ლექციები.

პლაზმის ფიზიკის თბილისის საერთაშორისო სკოლის მუშაობამ ცხადყო, რომ მეცნიერებამ დიდი ნაბიჯები გადადგა კაცობრიობისათვის ესოდენ საჭირო პრობლემის დროული გადაჭრისათვის.

სურათზე: პლაზმის საერთაშორისო სკოლის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.



სპორტული ქრონიკა

მეოთხედ...

ალმა-ათაში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ჭოგბურთში. როგორც მოსალოდნელი იყო, თავი ისახელა ალექსანდრე მეტრეველმა. თბილისელი სტუდენტი ერთეული ასპარეზობის ფინალში ტალინელ თომას ლეიუსს შეხვდა და მეოთხედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტული. იგი უძლიერესი იყო ვაჟთა წყვილების ასპარეზობაშიც (როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მისი პარტნიორი ბაქოელი ლიხაჩოვი გახლდათ). და, ბოლოს, მოსკოველ ოლღა მოროზოვასთან ერთად მეტრეველმა შერეულ წყვილთა ასპარეზობაც მოიგო.

● თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ამჯერადაც არ უღალატეს ტრადიციას. მათ გასვლითი მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“ წააგეს —1:2, ბოლო შეხვედრა ორჯონიკიძის „სპარტაკთან“, რომელიც 19 ოქტომბერს თბილისში გაიმართა, დიდი ანგარიშით მოიგეს. ქართველ ფეხბურთელთა ხუთ ბურთს სტუმრებმა ორით უპასუხეს. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში გივი ნოდიამ სამი ბურთი გაიტანა და სათავეში ჩაუდგა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირთა სიას. ახლა მის ანგარიშზე 16 ბურთი მოდის.

რაც შეეხება ქუთაისის „ტორპედოს“, მან ბოლო მატჩი მოსკოველ თანაკლუბელთა წინააღმდეგ ფრედ (0:0) დაამთავრა.

● კომუნარსკში დასრულდა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ნახევარი ჭიდაობა სამბოში. ნახევრად მშჩატე წონაში ბადალი არ ჰყავდა შოთა ფიცხელაურს, ხოლო მძიმე წონაში ყველა მეტოქე დასჯაბნა 22 წლის გოლიათმა ბივი ონაშვილმა.

● ლენინგრადში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა.

● ერევანში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა საკავშირო პირველობა რეგბში მეორე ლიგის გუნდებს შორის. ასპარეზობა ბრწყინვალედ წარმართა თბილისის „დინამომ“. მან ტურნირში 8 ქულა მოაგროვა და პირველ ადგილზე გავიდა. გაისიდან ჩვენი ქვეყნის პირველობაზე უმაღლეს ლიგაში საქართველოდან რეგბისტთა ორი გუნდი იასპარეზებს.



მიმინოთ შეჰკრა კამარა...

ვოკომოტივის სტადიონზე გამართულმა დამჭერ ფრინველთა მეორე რესპუბლიკურმა გამოფენა-შეჯიბრებამ ნადირობის მრავალი მოტრფიალე მიიზიდა.

90 ბაზიერი ეჯიბრებოდა ერთმანეთს მტაცებელ ფრინველთა გაწვრთნილობაში, „დავალებაში“ შესრულების დახვეწილობასა და სილამაზეში.

ასპარეზობაში მონაწილე 14 გუნდიდან უველას ჩოხატაურის რაიონის პირველმა გუნდმა აჯობა. მის მიერ 15 შესაძლებლიდან მოგროვილი 14,9 ქულა სხვებისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. პირად პირველობაზე ბადალი არ ჰყავდა ამ გუნდის წარმომადგენელს მამია გიორგაძეს.

გამოფენაზე წარმოდგენილ დამჭერ ფრინველთა შორის პირველობა მახარაძელი ბაზიერის ავთანდილ ურუშაძისა და ჩოხატაურელი ბაზიერის დავით მგალობლიშვილის მიმინოებს მიეკუთვნათ.

შეჯიბრებას სჭიდა გამოცდილი ბაზიერი 82 წლის პაჭუ ყორდანია.

სურათზე: გუდაუთელი ბაზიერები. მარცხნიდან — მირტა ისავა და დავით თარბა.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

ეს იყო პარიზში 1965 წელს...

რუსთაველის თეატრში ჟან ანუის „ანტიგონე“ მიდიოდა, რომელშიც ისმენის როლს ვთამაშობ. სცენაზე გასვლის წინ კულისებში ვიღაცამ თქვა:

— მას ისე უყვარდა სიცოცხლე...

— ვის? — გკითხი უკანმოუხედავად.

— ბურვილს.

— უყვარდა? ბურვილს? — ვიკრაფერი გავიგე.

— იგი გარდაიცვალა.

გული ჩამწყდა...

ბურვილი 1965 წელს გავიცანი პარიზში, სადაც მაშინ გასტროლებზე ვიყავი საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულ ანსამბლთან ერთად.

გაზაფხული იყო. ყველაზე დამახასიათებელი დრო პარიზისათვის. ქუჩებში საოცრად ყვაოდა წაბლი და მთელი ქალაქი ზღაპრულ ანტიკვარულ ბაღს დამსგავსებოდა. თავისუფალ დროს დავდიოდი მუზეუმებში, გამოფენებზე, ქუჩებში, ვათვალიერებდი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. ერთხელ ანსამბლის რამდენსამე წევრთან ერთად პარიზის ერთ-ერთ კინოსტუდიასაც ვესტუმრე.

უზარმაზარ სტუდიაში რამდენიმე ჯადაღება ერთდროულად მიმდინარეობდა. ერთ-ერთ პავილიონში ბურვილი შევნიშნეთ.

ჩვენს ბედად, ჯადამღებ ჯგუფს შესვენება ჰქონდა. ბურვილმა საოცარი ყურადღება გამოიჩინა ჩვენს მიმართ.

ცოტა არ იყოს, გული გვტკენდა, რომ არაფერი იცოდა საქართველოს შესახებ. სამაგიეროდ, როგორ გაიხარა თვითონ, როცა გაიგო, რომ ჩვენებში, რომლის არსებობა მან არც კი იცოდა, ასე კარგად იცნობენ მის ხელოვნებას, რომ ჩვენ გვინახავს ფილმები მისი მონაწილეობით: „მთელი ქვეყნის ოჭრო“, „დოყლაპია“, „განკიცხულნი“, „ეშმაკი და 10 მცნება“, „ნოტრ ფორტუნა“, „მოჩვენებითი ბედნიერება“... ბურვილს ბავშვივით უხაროდა, ინტერესით გვისმენდა, პირდაპირ ხტოდა ამოდენა კაცი! ყველანი მოხიბლული, მოჯადოებული შევცქეროდით, თითქოს პირველად გავიცანით ნამდვილი ფრანგი, ცოცხალი, მოძრავი, ტემპერამენტიანი!

სხვათა შორის, ბურვილს გვერდით ედგა ერთი მსახიობი, რომელიც აგრეთვე დიდად დაინტერესდა ჩვენით. ჩვენ კი, სიმართლე გითხრათ, მაინცა და მაინც არც კი მივქცევია ყურადღება მისთვის. ბურვილის შემდეგ აღარავინ გვახსოვდა! როგორც გამოირკვა, ეს კაცი იყო ფრანგული კინოს ძალზე პოპულარული ვარსკვლავი პოლ მერისი. იგი იდგა როგორც დაბნეული, უხერხულად იღიმებოდა და ეჭყობა, ჩვენს მაგივრად სცხვენოდა, რომ მას, ასე სახელმოხვეჭილ მსახიობს, არ ვიცნობდით...

ბურვილი ქართული ცეკვებით დაინტერესდა. რამდენიმე ილეთი ვუჩვენეთ, რომელიც მაშინვე ხალისით გაიმეორა. შემდეგ მოისურვა სამახსოვრო სურათები გადაგვეღო მასთან. როცა გაიგო, თეატრის მსახიობი ვიყავი, შემომთავაზა რამე სცენა გაგვეთამაშა და ავსულიყავი მეტროს ვაგონში, რომლის კონდუქტორის როლსაც იგი მაშინ ასრულებდა. მე ისე უსასრულოდ ბედნიერი და თავგზააბნეული ვიყავი ამ დიდ ხელოვანთან შეხვედრით, რომ ვაგონში ასვლისას გავიშხლართე და ორივე მუხლი გადავიტყავე... მაგრამ ვის ახსოვდა ფეხის ტკივილი!..

სურათები, რომლებიც მაშინ გადავიღეთ, მეორე დღესვე — 26 მარტს დაიბეჭდა რამდენსამე ფრანგულ გაზეთში.

ბურვილის გარდაცვალება ძალზე დიდი დანაკლისია მსოფლიო კინოხელოვნებისათვის. პირადად ჩემთვის კი მისი სიკვდილი არა მარტო დიდი ხელოვანის, არამედ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მშვენიერი ეპიზოდის გმირის გარდაცვალებასაც ნიშნავს...

გურანდუხტ გაბუნია,

რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი.



„ბურვილმა და პოლ მერისმა, ფილმის ორმა მთავარმა შემსრულებელმა, უჩვენეს ლამაზ კავკასიელ ქალებს „საკუთარი“ მეტრო. ის კი არა, ბურვილი, მეტროს „კონდუქტორი“, ძალზე გალანტური კავალერი, დამხმარა ერთ-ერთ ლამაზმანს ვაგონიდან ჩამოსვლისას“ — ასეთი წარწერით გამოძვეყნდა ეს სურათი ფრანგულ გაზეთებში.

გაჭრა-თხრობა

იუმორი

წყევლი იმ დღეს, შენ რომ დაგიმეგობრდი. შენი გახსენება დღესაც ჟრუანტელსა მგვრის. არასოდეს შევეცდები შენთან შეხვედრას. შენ მოკვდი ჩემთვის, აღარ არსებობ! სახელი გამიტეხე, სიცოცხლე გამომწარე, გზა-კვალი ამიბნიე... კმარა, რაც მაწამე! თუმცა შენ რას გერჩი, ჩემო ნუნუკა! შენ ხომ ჩემთვის სიყვარული არ გითხოვია. თვითონ შემიყვარდი და გავხდი შენი ტრფიალი, მშობლებისა და ცოლ-შვილისაგან დამალულად, ფარულად გხვდებოდი, შენი ერთგული ვრჩებოდი. თუმცა კარგად მესმოდა, რომ უკუდ სჯერს ჩავდიოდი. ისიც ვიცოდი, რომ შენთვის პირველი და უკანასკნელი არ ვიყავი. ჩემისთანა სუსტი ნებისყოფის ადამიანები ადვილად ექცევიან შენს ბრჭყალებში, ჯარგავენ ადამიანის კეთილშობილ სახეს...

შენთან შეხვედრის შემდეგ გულგაღიღილი, ჯიბეცარიელი, გახელებული ვბრუნდებოდი ოჯახში. ვინ მოთვლის, შენს გამო რამდენ ცილისწამებას გადავყარე! თვალები დამიბრმავე, ცოლ-შვილის შესანახ ფულს შენთვის ვხარჯავდი! აბა, უფულოდ ჩემი თავი რად გინდოდა.

ჰოი, მაცდურო! შენთან შეხვედრისას სიხარულით ვცახცახებდი, აკანკალებული ხელით აგიტაცებდი, ბაგეებთან მიგიზიდავდი და ხარბად გეწაფებოდი.

ოჰ, ჯადოქარო, როგორ მათრობდი შენი ალერსით! გონებადახშულს შენს ჭკუაზე მატარებდი: ხან ამამეტყველებდი და ხან დამამუნჯებდი, ხან ამამღერებდი და ხან ცხარე ცრემლით მატირებდი. ვითომ კი თითქმის შობილი იყავი. რამდენჯერ მაიძულე ცოლ-შვილის სადღეგრძელოც კი დამელია, მაგრამ, მუხთალო, ოჯახს კი მინგრევდი! შენგან განაწამებს რამდენჯერ მითქვამს, რომ სამუდამოდ მიგატოვებდი, გაგეცლებოდი, არასოდეს შეგხვედებოდი, ახლოს არ გაგიკარებდი, დაგივიწყებდი, დავუბრუნდებოდი ოჯახს, პატიოსან ცხოვრებას, მაგრამ ამაო იყო ჩემი ფიცი...

ღმერთმა კი ამაჟად მივაბიჯებ, აღარა მსურს შენთან შეხვედრა, თვალს გარიდებ, გვერდს გიქცევ!

გტოვებ და გული ერთხელ მწყდება — განა ყველა მამაკაცია შენი ღირსი? არა და არა! შენ მხოლოდ რჩეულთა მაამებელი, ისეთი ადამიანის ღირსი ხარ, რომელმაც იცის შენი ფასი და ღირსება.

მაშ ასე. გტოვებ, ჩემო ძვირფასო ნუნუკავ, ღვინოვ ჯახურო...

თენგიზ პირველი

ნოემბერი

● საქართველო მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად 7 ნოემბერს ტრადიციული ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53 წლისთავს.

● 10 ნოემბერს კი კაცობრიობის ხვალინდელი დღის ღიმილი — ახალგაზრდობა საერთაშორისო დღეს იზეიმებს.

● 85 წლის წინათ, 1885 წლის 13 ნოემბერს, ლადო აღნიაშვილმა ჩამოაყალიბა ქართული ეთნოგრაფიული გუნდი, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ხალხური სიმღერების პროფესიული ანსამბლის არსებობას.

● ჩვენს სასიქადულო მეცნიერ-ეთნოგრაფს, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას 15 ნოემბერს დაბადების 80 წლისთავი უბრწყდება.

● 17 ნოემბერს კვლავ მსოფლიო ახალგაზრდობის ზეიმია — სტუდენტთა საერთაშორისო დღე.

● 90 წლის წინათ, 1880 წლის 20 ნოემბერს, დაიბადა დიდი ქართველი პროზაიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი, მწერალი, რომლის შემოქმედებამაც ძალზე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა მდიდარ ეროვნულ ლიტერატურაში.

● 21 ნოემბერს დაბადების 70 წელი უსრულდება საქართველოს სახალხო მხატვარს სევერიან მაისაშვილს.

● 65 წლის წინათ, 1905 წლის 20 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე, თბილისში გამოდიოდა „კავკაზსკი რაბოჩი ისტოკი“, პირველი ყოველდღიური ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი ამიერკავკასიაში, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო.

● 25 ნოემბერს სრულდება 50 წელი დიდი მსახიობის, თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწის ლადო მესხიშვილის გარდაცვალებიდან.

● 26 ნოემბერს მოძმე სომეხ ხალხს დიდ ზეიმს მივულოცავთ — სრულდება 50 წელი მათ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან.

ქართული სამზარეულო უნგრეთში

სასტუმრო „ბუდაპეშტის“ 18-სართულიანი შენობის წინ ქარი აფრიალებს უზარმაზარ ტილოს, რომელზეც წარწერილია სიტყვები — „ქართული სამზარეულოს ზეიმი“. 3 ოქტომბერს აქ, ბუდაპეშტში ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე სასტუმროში, საზეიმოდ გაიხსნა ქართული გასტრონომიის დეკადა. გახსნას დაესწრნენ საქართველოს ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე მირიან შიხაშვილი და აფხაზეთის ვაჭრობის მინისტრი რაჟდენ ხინკუბა, რომლებიც ბუდაპეშტში ჩავიდნენ ამ დეკადასთან დაკავშირებით.

გახსნაზე ბევრი სტუმარი შეიკრიბა. მათ სიტყვით მიმართა უნგრეთის საკვლხო რესპუბლიკის საშინაო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ბორშოშმა. ეს დეკადა მოწმობს, — თქვა მან, — რომ განუხრელად მტკიცდება უნგრეთისა და საბჭოთა ხალხების მეგობრობა...

ქართული გასტრონომიის დღეები ბუდაპეშტში მოეწყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს ვაჭრობის სამინისტროების შეთანხმებით. წლეულს ივნისში უნგრული სამზარეულოს ოსტატებმა თავიანთი ხელოვნება გვიჩვენეს თბილისის რესტორან „არაგვში“. ამჯერად ქართველი კოლეგები საპასუხო ვიზიტით ეწვივნენ უნგრეთის დედაქალაქს.

საქართველოდან წარგზავნილთა ჯგუფში იყვნენ გამოცდილი მზარეულები, ხაბაზები და სხვა სპეციალისტები. ბუდაპეშტში ჩავიდა აგრეთვე ქართული საესტრადო ანსამბლი „ციცინათელა“.

უკვე პირველმა დღემ წარმატება მოუტანა ქართველ კულინარებს. ქართული პური, რომელსაც რესტორან „ბუდაპეშტში“ აცხობდნენ სირბილაძე და ჩხეიძე, იმერული ყველი და ნაზუქი, რომლებსაც ტექნოლოგი წილოსანი ამზადებდა ქალაქ სეიჩენის ქარხანაში, დიდი მოწონებით სარგებლობდა. კულინარების გოლოვნიშვილის, ჩიხრაძის, გაგნიძის, ბერიშვილის, ხიზანბარელის მიერ დამზადებულმა საციმა, ხარჩომ, ჩიხირთმამ, ჩანახმა, ქოთნის ლობიომ, ნივვზიანმა მწვანე ლობიომ, ხაჭაპურმა, სულუგუნიანმა ღომმა, მჭადმა, პიტნიანმა ნადუღმა, ტაბაკამ, შემწვარმა გოჭმა, ბატკნის მწვადმა, ღორის სუკმა და სხვა პიკანტურმა კერძებმა აღაფრთოვანეს უნგრელები.

ქართული კულინარიის ზეიმს დაესწრნენ უნგრეთის ხელმძღვანელი მუშაკები. მაგალითად, 5 ოქტომბერს ჩვენი წარგზავნილები მასპინძლობდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს დიერდ ეცელს, უნგრეთის შინაგანი ვაჭრობის მინისტრს იშტვან სურდის, ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს ბორშოშსა და სხვა ოფიციალურ პირებს.

ქართული გასტრონომიის დეკადამ ბუდაპეშტში წარმატებით ჩაიარა.

დაგეძებენ, მოგელიან

ბეჭან ნიკოლოზის ძე დევდარიანს,

დაბადებულს 1918 წელს ხარაგოულის რაიონის სოფელ ქროლში, ეძებენ — დედა — **ნინო**, მამა — **ნიკოლოზ**, მიუღლე — **ნადია**, შვილი — **გიული**, და — **ანა**, ძმა — **დავით დევდარიანები**, მცხოვრებნი სოფელ ქროლში.

შოთა ალექსანდრეს ძე პატარაიას,

დაბადებულს 1920 წელს ზუგდიდში, ეძებენ დედა — **მარო**, და — **თამარ პატარაია-კიკნაველიძე**, მცხოვრებნი თბილისში, რაზმაძის ქუჩა № 54.

ლეო ალექსის ძე კვარაცხელიას,

დაბადებულს 1915 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალში, ეძებენ მიუღლე — **ნაზი**, შვილები — **სულიკო, გონა**, ძმა — **აბრამ კვარაცხელიები**, მცხოვრებნი სოფელ ჯგალში.

ბეჭან გრიგოლის ძე დანგაძეს,

დაბადებულს 1920 წელს ხაშურის რაიონის სოფელ კრისხევში, ეძებენ ძმები — **ვლადიმერ** და **ოთარი**, და — **თამარ დანგაძეები**, მცხოვრებნი ხაშურში, რუსთაველის ქუჩა № 16.

შოთა ილიას ძე ბარბაქაძეს,

დაბადებულს 1918 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურში, ეძებენ დები — ელენე, **მარო**, ძმები — **გოგი**, **შალვა ბარბაქაძეები**, მცხოვრებნი ტყიბულში, ტყვარჩელის I შესახვევი № 4.

ივანე ონისიმეს ძე არევაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ბორჯომში, ეძებენ დედა — **აღათი**, და — **ვენერა არევაძეები**, მცხოვრებნი ბორჯომში, ინტერნაციონალის ქუჩა № 44.

ვასილ ალექსის ძე ჩოქურს,

დაბადებულს 1922 წელს თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ახალსოფელში, ეძებენ დედა — **ანეტა**, დები — **მაშო, მარუსა, ელენე ჩოქურები**, მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, V კორპუსი, ბინა 55.

გივი ვარლამის ძე გარდავაძეს,

დაბადებულს 1911 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ ივანდიდში, ეძებენ მიუღლე — **პაშა**, შვილები — **გურამი, უშანგი**, რძლები — **ზაირა, მერი**, შვილიშვილები — **მამუკა, თამარ, გივი გარდავაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, კრწანისი II-ს მოედანი № 7.

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.